ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თავმჯდომარის ბრძანება

ბრძანება:**№119. 11924150001**

თარიღი:**29/05/2024**

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ნინო გადრანისთვის წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციების განსაზღვრის შესახებ

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-6, მე-8 პუნქტების, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 58-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9, 26-ე მუხლებისა და 30-ე მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს ნინო გადრანს თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან განთავისუფლების გარეშე, განესაზღვროს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციები;

2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქცია/მოვალეობები განისაზღვრება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ვ“ ქვეპუნქტების შესაბამისად;

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული პირი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციების შესრულების ფარგლებში, ანგარიშვალდებულია უშუალოდ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის წინაშე;

4. დამატებითი ფუნციების შესრულებისთვის ნინო გადრანს მიეცეს სახელფასო დანამატი თვეში 300 (სამასი) ლარის ოდენობით;

5. დაევალოს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს წალკის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ. გვერდზე tsalka.gov.ge პროაქტიულად გამოაქვეყნოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია;

6. დაევალოს წალკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს ამ ბრძანების მე-4 პუნქტის შესრულება;

7. დაევალოს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს აცნობოს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრის შესახებ ინფორმაცია, ოფიცრის ვინაობის და საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით;

8. ბრძანება ძალაშია 2024 წლის პირველი ივნისიდან;

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი